ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

839

# ლიტერატურული საქართველო

კვირა, 8 თებერვალი 1942 წ. -76 № 460 საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 6 (217) ფასი 30 კაპ.

## საბჭოთა პატრიოტი ქალი

დიდმა სამამულო ომმა უდიდესი როლი დააკისრა საბჭოთა ქალს. სამშობლოს, მისი ღირსებისა და მომავლის დაცვის სიმძიმე თავისი მხრებით გადააქვს საბჭოთა ქალსაც. სამამულო ომი გადაიქცა საბჭოთა ქალის ფიზიკური და იდეურ-მორალური სიმტკიცის გამოცდად. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ლენინ-სტალინის ეპოქის ქალები თავიანთი შესანიშნავი წინაპრების, რევოლუციურ ბრძოლებისა და ეროვნულ გამანთავისუფლებელი ომების მონაწილე ქალების ღირსეული მემკვიდრენი არიან. სამამულო ომმა მთელი სიცხოველით დაგვანახა, საბჭოთა ქალი როგორც საარაკო გმირების აღმზრდელი დედა, როგორც უშიშარი მეომრის ღირსეული მეუღლე, როგორც გულადი მებრძოლის სიცოცხლისათვის მზრუნველი მოამაგე და, როგორც ზურგის თავდადებული მომუშავე და, ბოლოს, როგორც შეუპოვარი მებრძოლი იარაღით ხელში.

ამ დიდი ძალით, ამ მაღალი ღირსებით საბჭოთა ქვეყნის პატრიოტი ქალი აღჭურვა იმ უფლებრივ-მორალურმა მდგომარეობამ, რომელშიდაც იგი ოქტომბრის რევოლუციამ, სოციალიზმის გამარჯვებამ ჩააყენა. საბჭოთა ქალი არის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახალხო კომისარი, ქალაქის თუ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, ქარხნის დირექტორი, თუ კოლმეურნეობის ხელმძღვანელი. დიდმა ოქტომბერმა მისთვის მისაწვდომი გახადა ყოველი პროფესია: ჩვენში ქალი არის არა მარტო პედაგოგი და ექიმი, არამედ ინჟინერი, აგრონომი, მფრინავი, ხარატი, ზეინკალი და სხვა. სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი, ყველგან მისი შრომა პატივისცემით არის მოცული, ყველგან შრომა ქალს უზრუნველყოფს მატერიალურად და ამაღლებს ზნეობრივად. ქალი გახდა თავისუფალი არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ ოჯახში. იგი აღარ არის თავისი ქმრის თუ თავისი მამის შემყურე. იგი თავათ ჰქმნის თავის არსებობის მატერიალურ ბაზას. ამიტომ მისი გრძნობებიც ცხოვრების თანამგზავრის არჩევისას გაწმენდილია ყოველგვარ ანგარებისგან. ეს ზნეობრივად ამაღლებს ჩვენს ქალს. ამას აფასებს საბჭოთა ქალი. და იცავს რა სამშობლოს, ამითი იგი იცავს თავის დამოუკიდებლობას, თავის პატიოსნებას, თავის მაღალ უფლებრივ-მორალურ მდგომარეობას. სწორედ ეს აძლევს პათოსს ჩვენი ქალის მუშაობას ზურგში, ეს აძლევს ვაჟკაცურ ძალას თავდადების გამოსაჩენად ფრონტზე, სადაც ჩვენი ქალი მიდის დაჭრილ მეომრის მშველელ-მომვლელად და ზოგჯერ მებრძოლადაც.

აღმაფრთოვანებელი შრომითი სიმამაცე და მებრძოლის ლეგენდარული ვაჟკაცობა გამოამჟღავნეს სამამულო ომის თვეებში საბჭოთა ქალებმა. მათ იშვიათი მხნეობით და სულგრძელობით გააცილეს ფრონტისკენ თავიანთი შვილები, ქმრები და ძმები, იკისრეს მათი საქმე წარმოებაში, უმალვე დაეუფლენ მათ ოსტატობას, გააორკეცეს შრომის ნაყოფიერება. ტყვიების, ნაღმებისა და ყუმბარების გრიალში ისინი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მეომრებს და ცეცხლის ხაზიდან გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე დაცემული მეომრები. ტყვიის წვიმაში საბჭოთა ქალები მედგრად დგანან თავიანთ პოსტებზე და ემსახურებიან ფრონტს როგორც მეკავშირეები. ეს საბჭოთა ქალები არიან, რომლებიც საკუთარი სისხლის გაღებით სიცოცხლეს უნარჩუნებენ სისხლისაგან დაცლილ მეომარ ვაჟკაცებს. ეს ჩვენი საბჭოთა ქალები არიან, რომლებიც მტრისგან დროებით დაკავებულ რაიონებში, თავიანთ ქმრებთან და შვილებთან ერთად პარტიზანებად გასულნი, ანადგურებენ ოკუპანტებს. ჩვენი სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს კომკავშირელი ქალიშვილების, ვოლოკამსკელი ნატალია უნივაიკოს და მოსკოველი ტატიანას ვაჟკაცურ თავგანწირვას.

ერთიც და მეორეც ასრულებდა რა მტრის ზურგში საბრძოლო დავალებას, ტყვედ ჩავარდა. ფაშისტმა არამზადებმა ისინი ჰგვემეს, ჯოჯოხეთური წამება მიაყენეს, სახრჩობელაზე დაჰკიდეს მაგრამ არც ერთ მათგანს პირიდან არ ამოხდენია ერთი გმინვაც კი, არ წამოცდენია თავისი თანამებრძოლის პარტიზანელის სახელი. მათი დასჯის სანახავად მირეკილი ხალხის მიმართ მათი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მშვიდობით, ამხანაგებო! არ შედრკეთ, იბრძოლეთ! თქვენთან არის სტალინი, სტალინი მოგეშველებათ". მამაცმა ქალიშვილებმა ჰპოვეს მოწამებრივი სიკვდილი, ისინი დაიღუპენ როგორც იმ ხალხის გმირი შვილები, რომელსაც ვერავინ ვერასოდეს ვერ მოდრეკს.

ასეთი არიან ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები, ასეთივე უდრეკნი, ასეთივე სიქველით აღვსილი არიან საბჭოთა ქვეყნის დედები.

დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი შენატროდა მამულის დამცველი გმირების აღმზრდელ ძველ ქართველ ქალებს; მას გულიდან აღმოსკდა სიტყვები: „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ"-ო. მეორე დიდმა ქართველმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ თავის უკვდავ დრამატიულ პოემას „ქართლის დედას" შემდეგი სიტყვები წაუმძღვარა „მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდი ფარდისა და ეს ვიხილე". და პოეტმა დაგვიხატა ის, რაც იხილა. იხილა დედა, რომელიც მწვავე სულიერი ტკივილით სძლევს მამულის გულისათვის უძლიერეს დედობრივი სიყვარულის გრძნობას, ერთადერთ შვილს გზავნის მამულის დასაცავად, შემდეგი დაუვიწყარი სიტყვებით: „აჰა ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი, სიცოცხლე მიეც რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი". დედა, რომელიც პოეტმა ოცნებით წარმოიდგინა, წარმოშვა ლენინ-სტალინის ეპოქამ, ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ. საბჭოთა ქვეყნის უდიდესმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ არა მარტო მყობადში, არამედ თავის აწმყოში, თავის თანადროულ რევოლუციურ სინამდვილეში დაინახა ნილოვნას მომხიბვლელი სახე, დაინახა რევოლუციონერი შვილების დედა, რომელიც შვილებთან ერთად იბრძვის, და მათთან ერთად ინაწილებს რევოლუციური ბრძოლების სიძნელეს, განსაცდელს და საშიშროებას. გორკის დედა არის შთამგონებელი საბჭოთა ქალებისა, ჩვენი დედებისა და ჩვენი ქალიშვილებისა, რომელნიც ბრძოლისაკენ გზას ულოცავენ თავიანთ შვილებს, თავიანთ ძმებსა, თავიანთ ქმრებს, უღრმესი სიყვარულით აკაჟებენ მათ ვაჟკაცობას, თავდადებული შრომით მოუწოდებენ მტრებზე შურისძიებისაკენ ჩვენი მამულის გათელვისათვის, ჩვენი ღირსების შეურაცყოფისათვის.

დიდი გადაუხდელი ვალი აწევს საბჭოთა მწერლობას ჩვენი ქვეყნის დედისა და ქალიშვილის წინაშე. ჩვენ ვიყავით და გავხდით მოწმე მათი იშვიათი შრომითი სიმამაცისა და საბრძოლო გმირობისა, მაგრამ ჩვენ ვერ ავსახეთ ისინი ჩვენს მხატვრულ ნაწარმოებში იმ სიდიადით, როგორითაც სინამდვილეში მოგვევლინენ. საბჭოთა მწერლობა გადაიხდის ამ ვალს, ჩვენს სინამდვილეში მას ჰყავს მრავალი პროტოტიპი რომელიც საფუძვლად დაედება საბჭოთა ქალის ისეთი განზოგადოებული სახის შექმნას, რომელიც მუდამ დარჩება მომავალი კაცობრიობის მოსაგონებელ, დაუვიწყარ სახედ. საბჭოთა მწერალი მთელ თავის ენტუზიაზმს, მთელ თავის გულისთქმას ჩასდებს საბჭოთა ქალის სახეში, რადგან არც ერთი ეპოქის მწერალს არ ჰყოლია ისეთი ახლობელი და მშობლიური გმირი, როგორიც საბჭოთა მწერლისათვის არის სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლი საბჭოთა პატრიოტი ქალი.

## ვ. ვ. ვერესაევის შემოქმედების საღამო

ამჟამად თბილისში იმყოფება ცნობილი რუსი მწერალი ვ. ვ. ვერესაევი. მას სამართლიანად სთვლიან რუსი ინტელიგენციის მემატიანედ. ვერესაევს, მრავალი რომანისა და მოთხრობის გარდა, დაწერილი აქვს გამოკვლევები პუშკინზე, გოგოლზე და დოსტოევსკიზე. ამჟამად იგი ბერძნული კლასიკოსების თარგმანებზე მუშაობს.

31 იანვარს მწერალთა კავშირის კლუბში ქართველმა მწერლებმა და თბილისის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ვერესაევს თბილი შეხვედრა მოუწყო. შალვა დადიანმა თავის შესავალ სიტყვაში გამოხატა ის დიდი პატივისცემა, რომლითაც ვერესაევი სარგებლობს ქართველ მწერალთა შორის. ბ. ჟღენტი გამოვიდა შინაარსიანი მოხსენებით ვერესაევის შემოქმედებაზე: ვერესაევს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა მაშინ, როცა მოღვაწეობდნენ რუსული ლიტერატურის კლასიკოსები ლევ ტოლსტოი და ჩეხოვი. მისი შემოქმედება თანმიმდევრობით ასახავს რუსეთის ინტელიგენციის ცხოვრების განვითარების ცალკეულ ეტაპებს. ვერესაევის შემოქმედება თავიდან ბოლომდის გამსჭვალულია პატრიოტიზმის ღრმა გრძნობით და რევოლუციური მოძრაობის იდეის სიყვარულით.

საღამოზე ვერესაევის თარგმანების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, ილაპარაკეს მწერლებმა პლ. კეშელავამ, რ. ქორქიამ და ივანე ნოვიკოვმა. დასასრულ თავათ ვერესაევმა წარმოსთქვა სიტყვა და წაიკითხა რამდენიმე პატარა მოთხრობა.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

## ბედნიერი დღე

სერგო კლდიაშვილი

იანვრის შუადღეს გაღვივებულ ბუხრის წინ მირიანი ოჯახით სადილს შეექცეოდა, როცა გარედან შესულმა ხმაურმა მისი ყურადღება მიიპყრო.

უმცროსი გოგონა კარებთან მიიჭრა და გაიხედა. იმავ წუთში ბავშვს სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

— რა ამბავია? — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა მან და წუთიერი დუმილის შემდეგ წამოიძახა:—რაო, ჩვენსას ხომ არ მოდიან?

ყველამ მიატოვა სუფრა. ყველანი კარებს მიადგნენ.

თხუთმეტიოდე ქალმა და კაცმა გადასჭრა გზა, გადასერა ზამთრისაგან გაშიშვლებული ვენახი და მირიანის ეზოსაკენ გაემართა. ხალხის ჯგუფს სოფლის ფოსტალიონი ესტატე მიუძღოდა.

ესტატე შორიდანაც ადვილად გამოსაცნობი იყო. აშკარად გამოირჩეოდა აჭრელებულ ტყავისაგან შეკერილი მისი ქუდი, ქალი ხბოს ბანჯგვლიანი კურტაკი და მხარზე გადაკიდებული ჩანთა.

მთელ სოფელში ესტატესავით არავინ იცოდა—სად როგორ შემოკლებინა გზა, სად იყო ბილიკი და რომელ ღობეს სად ჰქონდა გადასაბიჯებელი.

ესტატეს მუდამ ეჩქარებოდა, სანამ ჩანთაში გაზეთები და წერილები ჰქონდა. უბრალო ლაპარაკისათვის დროს არ დაჰკარგავდა, მაგრამ მოსახლეს ისე არასოდეს არ გაშორდებოდა, რომ ზეზეულად მაინც არ გადაესროლა ორიოდე სამხიარულო სიტყვა. მხნე და ხალისიან კაცად სთვლიდნენ ესტატეს და რა დროსაც არ უნდა მისულიყო, ყოველთვის სასურველი იყო მისი გამოჩენა.

მაგრამ ახლა მისმა დანახვამ რატომღაც შეაკრთო და ააფორიაქა მირიანი და მისი ოჯახი. გაურკვეველს მოლოდინში იდგნენ და უყურებდნენ, როგორ უახლოვდებოდათ ხალხი და ფოსტალიონი. გასცქეროდნენ და ყველა ერთსა და იმავე ფიქრს შეებოჭა. ეს ფიქრი ახლა სანდროსთან იყო დაკავშირებული.

რამდენიმე თვეა აღარაფერი იცოდნენ ომში წასულ სანდროზე. პირველ ხანებში ხშირად მოდიოდა მისგან წერილები, შემდეგ კი უეცრად შესწყდა. აღარც ამბავი იყო და ჭორადაც არაფერი სმენიათ.

— იქნებ წერილია მისგან ან იქნებ ცუდ ამბავს იტყობინება ვინმე,—ეს ფიქრი აღელვებდა ახლა მირიანს.

ხედავდა, როგორ მოსდევდნენ მეზობლები თოხარიკით სიარულს დაჩვეულ ფოსტალიონს და საფათერაკოდ მიაჩნდა მათი დანახვა. რატომ მოჰყვებიან, რატომ დადუმდნენ, როცა სახლს მოუახლოვდნენ?

წუთით გული შეეკრა მირიანს. გაუხარელი ნაღვლიანი ზამთრის დღე ესიტყვებოდა ახლა მის გუნებას. სადღაც სიმაღლეში მზე იყო, მაგრამ ისეთი საწყალი, რომ ჩრდილის დაცემის ძალაც გამოლეოდა. ყველაფერი უფერული იყო. ტიტველი მიწა უხალისო უდაბნოდ მოსჩანდა.

მეზობლები და მოკეთენი მუდამ იმედიან სიტყვას ეუბნებოდნენ მირიანს, თუმცა გულში სანდროს ცოცხალთა შორის აღარ სთვლიდნენ. გრძნობდა ამას მირიანი, მაგრამ არც შინ და არც გარეთ არაფერს იმჩნევდა.

ხალხი ჭიშკარს მიადგა. ფოსტალიონმა პირველმა გადადგა ნაბიჯი.

— მაღარიჩია შენზე!—უეცრად შესძახა ესტატემ და ხელში კონვერტი აათამაშა.

გოგო და ბიჭი გაიქცნენ მისკენ.

მირიანს არც ახლა უღალატნია თავის ხასიათისათვის. — აუჩქარებლად, ჩვეული სიდინჯით წავიდა ფოსტალიონის შესახვედრად.

ესტატეს მთელი ხალხი შეჰყვა ეზოში. მხიარული შეძახილები, ხმაური ისმოდა გარშემო.

— ხომ გეუბნებოდი, ერთი დღე იქნება მოგიტან მეთქი!—და წერილი გადასცა ფოსტალიონმა. — ქაღალდის ფერზე ვატყობ, კარგი ამბავი უნდა იყოს. იცოდე, სამახარობლო შენზეა! — მერე ხალხს გადახედა და ცბიერად გაიღიმა:—ასე ვგრძნობ, უპატივცემულოდ არ წახვალთ აქედან!—ესა სთქვა, გაბრუნდა და თავის გზას გაუდგა.

ყველანი მოუთმენლად ელოდნენ სანდროს ამბავს.

სიჩუმე ჩამოდგა, როცა მირიანის გოგონამ წერილის წაკითხვა დაიწყო. სიჩუმეს ხანდახან არღვევდა დედის ამოძახილი:

— რა ბედნიერი დღე გამითენდა ეს!

„ჩემო საყვარელო და მუდამ სანატრელო მშობლებო, დაო და ძმაო! — სიჩუმეში გაისმა ბავშვის წკრიალა ხმა: —პირველად ყოვლისა სიხარულით გეხვევით და გკოცნით ურიცხვს..."

— შენ კი გენაცვალოს შენი დედა! ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა! — ჩიფჩიფებდა გახარებული დედა.

— გაგვაგონე, დედაკაცო!—წყრომით გადახედა მირიანმა, რომელსაც უკვე ემჩნეოდა მოუთმენლობა.

„ჩემს ამბავს იკითხავთ ალბათ, — განაგრძო კითხვა გოგონამ:—ვარ ისე კარგად, როგორც თქვენ გაგეხარდებათ და მტრებს ეწყინება. სამი თვეა ვერ მოგწერეთ იმ უბრალო მიზეზით, რომ საჩვენოს მოვწყდი და კინაღამ ტყვედ ჩამიგდეს ფაშისტებმა. მე და ჩემი ორი ამხანაგი ტყვიამფრქვევს ჩაუჯექით და შევეცადეთ უზრუნველგვეყო ჩვენების უკან დახევა. ასეთი საბრძოლო ამოცანა მქონდა მოცემული და ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ, ღირსეულადაც შევასრულე. სანამ ტყვია გვქონდა, თავი არ დაგვიზოგავს. მერე როცა ტყვია გამოგველია, ტყეს მივეცით თავი. მთელი ღამე ვიარეთ უღრანში. სულ გვქონდა იმედი, ჩვენებთან მივაღწევდით. აღმოსავლეთით ერთ ვარსკვლავს ვუცქეროდით და იქით ვუსწორეთ. მაგრამ როცა ირიჟრაჟა, დავინახეთ, რომ დავბნეულვართ. აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით. თანაც მტრის თვითმფრინავები დაფრინავდნენ ტყის თავზე და ვფრთხილობდით, არ დავენახეთ. მოვძებნეთ ერთი მყუდრო ადგილი, შევიხიზნეთ და ძილს მივეცით თავი. თურმე დიდხანს გვძინებია. როცა გაგვეღვიძა, დაბინდული იყო. ისევ გაუდექით გზას. ნათელი იყო, ვარსკვლავსაც ვხედავდით, მაგრამ ახლა აღარ ვენდეთ, ალალბედზე გავსწიეთ. ხანდახან ბურდებში ნადირი გაიჩუჩუნებდა, მეტი სულიერი არავინ შეგვხვედრია. ერთი პატარა მდინარე გადავიარეთ და უცბად კაცის ლანდი დავინახეთ. ჩვენც დავიმალეთ და ისიც გაისუდრა. ახლა კი ჩაუვარდებით ხელში მტერსო, ვიფიქრე გუნებაში. სიკვდილი ვარჩიეთ იმ წუთში, მაგრამ რითი მოგვეკლა თავი,—ერთმანეთს ხელებით ვერ დავაღრჩობდით, სხვა იარაღი კი ჩვენ არ გაგვაჩნდა. მაგრამ გაგიხარია, მალე ჩვენ გულზე მოგვეშვა. ჩამალული კაცი პარტიზანი აღმოჩნდა. შევეხმიანეთ ერთმანეთს და როცა დავრწმუნდით, ჩვენი სახელმწიფოს კაცი იყო, ძალიან გაგვეხარდა. მერე თავისიანებთან წაგვიყვანა. ჩვენი ამბავი რომ გაიგეს, ძმებივით მოგვეფერნენ და დაგვაპურეს. ჩვენაო, გვითხრეს ამ რაიონის გლეხები ვართ. თქვენ ასე ადვილად ვერ გახვალთ სამშვიდობოსო, ჩვენთან იყავითო. ეს სამი თვეა, ჩემო საყვარელო მშობლებო, დაო და ძმაო, მათთან ერთად ვიბრძოდი ფაშისტი ძაღლების წინააღმდეგ. რამდენი რამ გადამხდა, იმას რა ასწერს! დავბრუნდები და მაშინ გიამბობთ. აქაც ისე ომობს ხალხი, როგორც ფრონტზე. ქალი და კაცი ერთნაირად ჩასხმულია იარაღში. ყველა გამწარებით იცავს თავის ქვეყანას და იბრძვის მისი განთავისუფლებისათვის. სიკვდილის როგორ შეგეშინდება ადამიანს, როცა ასეთი პატიოსანი სიყვარულით გიყვარს შენი სამშობლო! ასეთ ქვეყანაში სიცოცხლე კარგია, მაგრამ როცა საჭიროა, მისთვის სიკვდილი არ დაგენანება. ერთ სოფელში მე სურათი ვნახე, იმის დავიწყება როგორ შემიძლია, სანამ პირში სული მიდგას! ფაშისტებმა გადასწვეს მთელი სოფელი, მამაკაცები სახრჩობელებზე დაჰკიდეს, დედაკაცებსა და ჩემი პატარა დაიკოს ოდენა გოგონებს ჯერ ნამუსი ახადეს და მერე წამებით დახოცეს. რა ნახეს ეს ჩემმა თვალებმა! კაცის სახეს როგორ ატარებს ამის ჩამდენი! ამ გახელებულ გულზე იმ ღამეს ერთი ხიდი ავაფეთქეთ, სწორედ მაშინ, როცა მტერს თავისი ჯარი გადაჰყავდა. ისე არაფერი გამხარებია ჩემს სიცოცხლეში, როგორც იმის დანახვა, თუ როგორ სცელავდნენ ჩვენი ტყვიები მატარებლიდან გადმოცვენილ ძაღლებს. — ესეც სამაგიერო მიიღეთ ჩემი სოფლის დანგრევისა და ხალხის აწიოკებისათვის! — გასძახოდა ჩვენი რაზმის მეთაური. მე გვერდით ვუდექი, მტერს ტყვიას ვაყრიდი, არ დამიზოგია არავინ და არაფერი. სამაგიეროს ვუხდიდი გადამწვარი სოფლებისათვის, ნაწამები გლეხებისათვის. იმათ გულისათვის რომ ვიბრძოდი, თვალწინ თქვენ მყავდით და ასე მწამდა, რომ თქვენ გიცავდით, საყვარელო დედა ჩემო და მამა ჩემო, ჩემო დაო და ძმაო. და ნამდვილადაც თქვენთვის ვიბრძოდი, — თქვენი სიცოცხლისათვის, თქვენი ნამუსისათვის, ჩვენი სახლკარისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის..."

— ნამდვილია ეგ! სწორია ეგ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

„... ასე გავატარე სამი თვე, ჩემო საყვარელო მშობლებო, დაო და ძმაო, და მერე, როცა ჩვენებმა მტერი გადარეკეს და ის რაიონი დაიბრუნეს, მე ჩემს ნაწილს შევუერთდი. ახლა ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ჩემს სახლში ვიყო და თქვენ გეხვეოდეთ, ჩემო საყვარელო დედმამა, დაო და ძმაო..."

წერილი აქ არ თავდებოდა. ამის შემდეგ იწყებოდა სოფლის ამბების გამოკითხვა: როგორია ამინდი, ხომ არ გამხმარა წასვლის წინ ეზოში დარგული კაკლის ხე, დედას თვალი მოურჩა თუ ისევ ეცრემლება, ხომ არ გათხოვილა მეზობლის ქალიშვილი ანიკო. ბოლოს, რაც ყველაზე დიდ ადგილს იჭერდა, მოკითხვები კუთხემეზობლებს.

წერილის წაკითხვა დასრულდა. გამხიარულებული ხალხი ერთბაშად ალაპარაკდა და შეეხმიანა მირიანს. ჩვეულებრივად მოღუშულ მის სახეს ახლა დაუფარავი სიხარული ემჩნეოდა.

მირიანმა რაღაც გადაულაპარაკა ცოლს. ეს უკანასკნელი მაშინვე სახლისაკენ წავიდა და თან გოგონა და ბიჭი გაიყოლია.

ეზოში კიდევ დიდხანს იდგნენ და სანდროს მიერ მოწერილ ამბებზე სჯა-ბაასობდნენ. როცა ბოლოს ერთმა წასვლა დააპირა, მირიანმა გზა გადაუჭრა:

— მაწყენინებ, ახლა რომ წახვიდე! — შეაჩერა, ხელი ჩაჰკიდა მირიანმა და მერე ყველა იქ მდგომს მიუბრუნდა: — მეცით პატივი, თითო ჭიქა დამილიეთ, ჩემი ბიჭი დამილოცეთ!

რამდენიმე წუთის შემდეგ მეზობლები უკვე უსხდნენ ბუხრის წინ გაწყობილ სუფრას.

ის იყო ჩამორიგდა ღვინიანი ხელადები, როცა კარები გაიღო და ფოსტალიონიც გამოჩნდა.

ყიჟინით, შეძახილებით შეეგებნენ ესტატეს.

— ვიცოდი, მოგისწრებდით! — კარებიდანვე დასძახა ფოსტალიონმა, დაცარიელებული ჩანთა კუთხეში მიაგდო, სუფრაზე ადგილი თითონ მოიფათურა და საერთო მხიარულებას თავისი ხმა შეუერთა.

## „მამულს ვუთხრათ გამარჯვება"

ბესო ჟღენტი

სიმონ ჩიქოვანის ლექსების ახალი წიგნი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება" ცხოველი პოეტური გამოძახილია იმ უკვდავ საგმირო საქმეებზე, რომლებითაც დიადი საბჭოთა ხალხი იგერიებს, უკუაქცევს და ანადგურებს გერმანელ დამპყრობელთა ველურ ბრბოებს.

თუმცა სარეცენზიო კრებულის თემატიკა მთლიანად განსაზღვრულია ახალი, სამამულო ომის პერიოდის ვითარებით, მაინც ლექსების ამ ციკლს ღრმა შინაგანი კავშირი აქვს სიმონ ჩიქოვანის იმ წიგნთან, რომელიც 1941 წლის თებერვალში, საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის სადღესასწაულო დღეებში გამოიცა.

იმ წიგნშიაც („ახალი ლექსები") ავტორის პოეტური ხედვის მთელი არე, მისი აზრებისა და განცდების მთელი სამყარო ერთი სიმართლის შუქით იყო განათებული. ცხოველმყოფელი სტალინური სიბრძნე და სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა შეადგენენ ამ სიმართლეს:

„ქართლის ცხოვრებას ბრძენი მინათებს,
მუზაც დარეკავს კალმიან ზარით.
რადგან ერთია ქვეყნად სიმართლე
და ეს სიმართლე სამშობლო არის".

ჯერ კიდევ მაშინ, ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერული კანიბალების ვერაგულ თავდასხმამდე სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში მკაფიოდ იყო გამოთქმული მომაკვდინებელი ზიზღი და გულისწყრომა ცივილიზაციისა და ჰუმანიზმის მოსისხლე მტრების ფაშისტი ბარბაროსებისადმი.

ხატავდა რა ფაშისტური აგრესიის მიერ აფორიაქებული, მტაცებლური ომის ქარცეცხლში გახვეული ევროპის საბედისწერო ვითარების სურათს, პოეტი გვინერგავდა რწმენას, რომ ჩვენი ქვეყანა უდრეკად გადაიტანს ამ ქარიშხალს, რომ ჩვენი ბრძენი ბელადის გენია გაჰფანტავს ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ ნათელის ჩასაქრობად ამხედრებულ ბნელეთს.

„ჩემი მხარე-კი უდრეკი მიჰქუხს,
შთაგონებული მივუშვებთ წამებს.
ოთახში ბრძენი აანთებს ჩიბუხს
და ცისკარივით გამირღვევს ღამეს".

სწერდა მაშინ პოეტი. და ეხლა, როდესაც საკაცობრიო კულტურისა და პროგრესის უბოროტესი მესაფლავეები ჩვენს წმინდათა წმინდა სამშობლოს შემოესივნენ, სიმონ ჩიქოვანის ლექსებში ახალის ძალით გაისმა მათდამი მგზნებარე მძულვარების მოტივი, დაკავშირებული მათი შემუსვრისა და უკუქცევის ურყევ რწმენასთან. ამ გრძნობით სუნთქავენ სარეცენზიო კრებულის პირველივე სტრიქონები ლექსიდან „ამხანაგ სტალინს, ბელადს და სარდალს":

„არა, არ ელის მამულს ავდარი,
რა-რიგ დაგუბდეს ფაშიზმის შხამი.
სტალინ, შენ დგახარ ჩვენი სარდალი,
რვალი და თვალი გადამწყვეტ ჟამის!"

დიდი **სტალინი** არის ჩვენი უძლეველობის, პირსისხლიან ფაშისტურ აფთარზე ჩვენი აუცილებელი გამარჯვების დიდებული სიმბოლო და პოეტიც მიმართავს ბელადს:

„პირსისხლიანი მოდის აფთარი,
ცდილობს მიწაზე წყვდიადის გაშლას,
მაგრამ შენ დგახარ ჩვენი სარდალი
და გამარჯვებას უნერგავ ლაშქარს".

მკვეთრსა და ცხოველ პოეტურ სახეებში აღბეჭდავს ავტორი იმ დიად ისტორიულ მოვლენებს, როგორიც იყო ამხანაგ **სტალინის** მოხსენება 6 ნოემბერს და მისი სიტყვა წითელ მოედანზე 7 ნოემბერს. ბელადის სიტყვის დიად შთამგონებელ ძალას, მის გამამხნევებელ, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღმგზნებელ ზეგავლენას გადმოგვცემს პოეტი სტალინისადმი მიმართულ სიტყვებში:

„შენ მეტყველებდი სარდალი დიდი,
მამულს აუნთე სული მეომრის,
ცეცხლი გაგზავნე კიდიდან კიდით
და ვარსკვლავები შვიდი ნოემბრის.
შენ მავზოლეის სპეტაკ ფიქალით
დასჭექე, შედრკა მტერი აშარი.
სტალინ, ერთი ხარ ბრძენი გრიგალი
და მტერს დალახვრავს შენი ლაშქარი".

ჩაუქრობ შარავანდედით შემოსილ პოეტურ სახეებად წარმოგვიდგებიან ამ კრებულის ლექსებში გმირულად დაღუპული საბჭოთა შევარდენი კაპიტანი გასტელო, ქედუხრელი ტანკისტი პერტახია, სახელოვანი მხედარი ინაური, სამშობლოსათვის თავგანწირული მებრძოლნი მიშაკოვი და შალამბერიძე, რომლებიც:

„ბორცვზე იბრძოდა ვაჟკაცი ორი,
ტყვიამფრქვევის და მარჯვენის ძალით
შეინარჩუნეს მაღლობი ბრძოლით
და გაუსწორეს სიკვდილსაც თვალი,
აამეტყველეს წყლისფერი ლულა,
ბევრი ფაშისტი დასცეს ტყე-ველად
მტერს შეეგებენ ვაჟკაცნი მტრულად,
შეუდრეკლად, შეურყეველად".

უკრაინის მშობლიურ მიწა-წყალზე რუსი და ქართველი გმირების თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდის ასახვით პოეტმა გვიჩვენა, როგორის ერთგულებით და გულმოდგინებით იცავს საბჭოთა ხალხი სამამულო ომის ეხლანდელ მრისხანე დღეებში ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს — ხალხთა სტალინურ მეგობრობას. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ეს გრძნობა კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული ლექსში „მოსკოველ მეგობრებისადმი":

„უნდათ გაგვთიშონ, დაგვაკრან დაღი,
მონის უღელი თეთრეულს გვარგონ,
მოსწვან სათუთად აღზრდილი ბაღი,
მიხაკისფერი სამსალა დარგონ.
ვერა, ვერ შესძლოს დაძლევა კრულმა,
დაიმტვრეს კრემლთან მტარვალის ძვლები.
ჩვენ შეგვაერთა ცხოვრებამ ბრძნულმა
და სამუდამოდ დავრჩებით ძმები".

სამამულო ომის ეპიზოდების ამსახველ ლექსებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსი „მეომრის სიკვდილი", რომელშიაც მიგნებულია დამაჯერებელი და მოხდენილი პოეტური სახე საბჭოთა მებრძოლის სულიერი რაინდობის გამოსახატავად. სასიკვდილოდ დაჭრილ საბჭოთა მეომარს უნდა ფეხზე მდგომი, უშიშარი და კვლავ მტრების წინააღმდეგ ამხედრებული შეეგებოს სიკვდილს. თანამებრძოლებმა წამოაყენეს იგი. მან ერთხელ კიდევ სტყორცნა ყუმბარა ვერაგ მტერს და:

„თუმცა ჩაუქრა თვალებში ფერი,
მოძმე შეელოდა სიცოცხლე მიხდილს;
კიდევ იმსხვერპლა მამულის მტერი
და ფეხზე მდგარი დაუხვდა სიკვდილს".

ასეთია საბჭოთა ქვეყნის პატრიოტების სულიერი ძალა და ქედუხრელობა! სამამულო ომის ფრონტისა და საბჭოთა ზურგის განუყოფელი მთლიანობის იდეაა განსახიერებული წრფელი ლირიზმით გამსჭვალულ ლექსებში: „ამანათი" და „ამანათზე მინაწერი".

ის დიდი გამათავისუფლებელი მისია, რომელიც ისტორიამ დააკისრა დევგმირ საბჭოთა ხალხს ჰიტლერიზმის მიერ ვერაგულად გათელილ ევროპელი ხალხების მიმართ, გამოხატულია ლექსში „პატარა ხალხი". პოეტი გვიხატავს ჰიტლერულ გერმანიის სისხლიანი აგრესიის მსხვერპლადქცეული მცირე ერების თავზე დატრიალებულ ტრაგედიას და ამასთანავე გვიჩვენებს მათი აღდგენისა და გადარჩენის პერსპექტივას:

„ენგრევა ჭერი, მოისმის კვნესა,
მტარვალის ჩექმა გათელავს ქალაქს,
მაგრამ აღადგენს დალეწილ ერსაც
ჩვენი მამულის არწივის ძალა".

მთლიანად სიმონ ჩიქოვანის ლექსების ეს წიგნი მკაფიო დოკუმენტია საბჭოთა მწერლობის საბრძოლო აღფრთოვანებისა დიადი სამამულო ომის დაძაბულ ვითარებაში.

კარგს იზამენ ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციები, თუ ასევე ცალკე წიგნებად გამოსცემენ სხვა საბჭოთა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს სამამულო ომის თემებზე..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლის სურათები

### ვიქტორ გაბესკირია

## 1. მეგობრები

სამნიც ერთი კუთხიდან იყვნენ,
ფიცი დადეს: ერთად იარონ,
ჭირი და ლხინი ერთად გაიყონ
და ერთი ბედი გაიზიარონ.

მაგრამ ერთ დილით, როცა მათ შორის
ღვიოდა ბრძოლის მძვინვარე ალი,
ომში გმირულად დაეცნენ ორნი
და სამუდამოდ დახუჭეს თვალი.

დარჩა ის ერთი, ფიქრები იგი
მარტოდ დარჩენილს ხშირად სწვევდა;
რა ქნას, ვის უთხრას, მათი ამბავი
სახლშიაც ვეღარ მიუწერა.

მაგრამ არ დრკება მებრძოლის გული,
ცდილობს ის მტერს ფიქრები სძლიოს;
დადის ბრძოლებში, გაცეცხლებული,
რომ მტრებს მეხედეს და შური იძიოს.

## 2. შეტევა

თენდება. ველზე ასე რატომ წვიმს?
თუმცა წვიმაშიც ბრძოლა ქებულა.
ზოგი წერილს წერს მკაცრ ბრძოლების წინ,
ზოგი თუთუნს ხვევს, ჩაფიქრებულა.

გრძნობენ მატულობს ბრძოლის წინ ძალა,
შეტევის ნიშანს ელოდებიან.
უცებ ქვემეხმა დაიგრიალა,
ღრუბლებში ცეცხლის ალნი ჩნდებიან.

წამოდგნენ, გაჰყვნენ ტანკებს, ვით დევებს,
მტრისკენ გარბიან ცეცხლის ზვავებით.
გულისთქმით, ფიქრით მათ თან მისდევენ
და ამხნევებენ ნათესავები!

## კონკურსი მასობრივ თავდაცვითს სიმღერაზე

ამ რამდენიმე ხნის წინად მოსკოვის კომპოზიტორთა კავშირმა და საკავშირო რადიოკომიტეტმა გამოაცხადეს დახურული კონკურსი მასობრივ თავდაცვითს სიმღერაზე. კონკურსის ჟიურიმ 45 მუსიკალური ნაწარმოები მიიღო. დეკემბრის ბოლო რიცხვებში …კეს თავმჯდომარეობით შესდგა ჟიურის დასკვნითი სხდომა, რომელზედაც რადიოკომიტეტის გუნდისა და სოლისტობთა მიერ შესრულებულ იქნა ჟიურის მიერ შერჩეული რამდენიმე სიმღერა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი და მეორე პრემია არავის არ მიესაჯა. ორი მესამე პრემია მიესაჯა სიმღერას „წითელგვარდიელი" — მუსიკა მოროზოვისა, ტექსტი კრახტისა და სტავროცკის და „საახალწლო მილოცვა" — მუსიკა ლეპინისა, ტექსტი მაშისტოვის.

გარდა ამისა, ჟიურიმ მასობრივ შესრულებისათვის მოიწონა კიდევ სამი სიმღერა: კარცევის „ბაბუა", როსლავეცის „თუთუნი" და ვასილიევ-ბუგლაის „პარტიზანული".

## სურათების გამოფენები მოსკოვში

მიმდინარე წლის 1 იანვარს მოსკოველ მხატვართა ამხანაგობის დარბაზში გაიხსნა ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების გამოფენა. გამოფენის თემაა „ჩვენი ქვეყნის პეიზაჟი". გამოფენას დიდძალი ხალხი ეტანება. პირველ დღესვე გამოფენა ინახულა 600-მდე კაცმა.

ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეამ მოსკოვის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის ფოიეში გახსნა გამოფენა „სამამულო ომი".

## საბჭოთა კავშირის აკადემიური თეატრების გასტროლები

პუშკინის სახელობის ლენინგრადის დრამის აკადემიური თეატრი, რომელიც ნოვოსიბირსკში იმყოფება, ამზადებს სკრიბის კომედიას „ჭიქა წყალი"; თეატრს რეპერტუარში შეტანილი აქვს: აფინოგენოვის „წინა დღეს", ოსტროვსკის „მხურვალე გული", „1812 წლის სამამულო ომი" (ლ. ტოლსტოის რომანი „ომისა და მშვიდობის" მიხედვით) და სოფოკლეს ტრაგედია „ედიპოს მეფე".

ივ. ფრანკოს სახელობის უკრაინის დრამატიული თეატრი ტამბოვში ჩატარებულ გასტროლების შემდეგ წარმოდგენებს მართავს სემიპალატინსკში.

ბელორუსიის სახელმწიფო პირველი დრამატიული თეატრი მუშაობს ტომსკში.

მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრი წარმოდგენებს მართავს ქ. ჩიმკენტში. თეატრმა სეზონი გახსნა პიესით „ნადექდა დუროვი".

მოსკოვის კამერული თეატრი ბალხაშში მუშაობს.

მოსკოვის სატირის თეატრმა, რომელიც ირკუტსკში სდგამს წარმოდგენებს, ხუთი დადგმის აღდგენა მოასწრო.

დნეპროპეტროვსკის რუსული დრამის თეატრი ულან-უდეში მუშაობს. დნეპროპეტროვსკისა და ოდესის ოპერის თეატრები გაერთიანდნენ და წარმოდგენებს მართავენ კრასნოიარსკში.

# „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ"

### რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმა

ასე ეწოდება გ. მდივნის ახალ პიესას, რომელიც ამჟამად რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მიდის.

ფარდის ახდისას მაყურებლის წინაშე იშლება ძველი მემანქანის გიორგი გიგაურის ოჯახი. მზითა და ხალისით გაცხოველებული აივანი ყვავილებითაა მორთული. შორს ცის ლაჟვარდი, გუმბათი და მამადავითის ბრწყინვალე სურათი მოსჩანს. სადღაც ახლოს მტკვრის დუდუნიც ისმის თითქოს.

ოჯახი მამისა და ორი საყვარელი შვილის —ილიასა და ოთარისაგან შესდგება. სცენა მამა-შვილთა სიყვარულით, მათი ინტიმით არის გამთბარი.

მოწმენდილი ცა უეცრად შეიღრუბლება: მეზობელი ჭაბუკი აღელვებული აცნობებს ბედნიერ ოჯახს ამხ. ვ. მოლოტოვის ისტორიულ გამოსვლას რადიოთი—22 ივნისს დილით გერმანელი ფაშისტები მუხანათურად დაეცნენ თავს საბჭოთა კავშირის აყვავებულ ქალაქებს, დაბომბეს ისინი, ხოლო მათმა ურდოებმა ჩვენი წმინდა საზღვარი გადმოლახეს.

დამთავრდა ცხოვრების ნორმალური მსვლელობა. დაირღვა მშვიდობიანი მშენებლობის დიადი მსვლელობა.

ორმა მოწიფულმა ვაჟკაცმა ილომ და ოთარმა ფრონტს უნდა მიაშურონ. მამა ძველი მემანქანეა. ისიც მობილიზებულია. მასთან ერთად მედეაც მიდის.

დგება შესანიშნავი წუთები, გამოცდის წუთები. სამშობლოს დაცვა, ვერაგულად თავდასხმულ მტერთან ბრძოლაში სიკვდილი ან გამარჯვება!

ყველას ღრმად აქვს შეგნებული თავისი წმინდა მოვალეობა, ყველა ერთის აზრით არის გამსჭვალული: ჩადგეს მამულისათვის მებრძოლთა რიგებში და თავისი წმინდა წვლილი შეიტანოს დიდ განმათავისუფლებელ ომში. ნასახიც არა სჩანს პანიკისა, იმ არევდარევისა, რასაც თავდამსხმელი მტერი ესოდენ იმედს ამყარებდა.

მომქმედ პირებად ქართველები გამოდიან. ისინი მხარში ამოსდგომიან სხვა ხალხებს, რათა სისხლით დაიცვან საბჭოთა კავშირი, მშობლიური საბჭოთა ხელისუფლება. ამ მხრივაც ჩაიფუშა მტრის იმედი: საბჭოთა კავშირის ხალხები სტალინური მეგობრობის მტკიცე დუღაბით შეერთებულნი აღმოჩნდნენ.

გიგაურთა მთელმა ოჯახმა ფრონტს მიაშურა, იგი მამულის გმირ დამცველთა სახელოვან რიგებში ჩადგა.

ასე ინასკვება პირველ სცენაში სპექტაკლის დედა-აზრი, მისი წამყვანი ხაზი. პატრიოტული აღტყინება, მტკიცე დისციპლინა, გმირული თავდადება, ფართო ხალხური ხასიათი, უმწიკვლო მეგობრული გრძნობა მებრძოლთა შორის—ეს თვისებები ახასიათებენ სამამულო ომს. ამით აიხსნება წითელი არმიის მორალური სიმაღლე, ფართო საკაცობრიო მიზანდასახულება.

შემდეგი სცენები ჩამოთვლილ თვისებათა თვალსაჩინო საილუსტრაციო სურათს წარმოადგენენ. თუმცა ზოგიერთი სცენა ფოტოგრაფიული ზედაპირულობითაა შესრულებული, სქემატიურია, ნაუცბათევი, მოკლებულია მხატვრულ სიღრმესა და ფერებს, მაგრამ ეს სცენები მაინც ეხმაურებიან მაყურებლის გრძნობებს, შესაფერ ზეგავლენას ახდენენ მასზე.

ილო გიგაურს დავალებული აქვს ფაშისტების მიერ აფეთქებული ხიდის აღდგენა. მის გარშემო გმირი მებრძოლები არიან შემოკრებულნი, თითოეული მათგანი გუშინ უსახელო, უბრალო, ჩვეულებრივი მუშაკი იყო. დღეს კი ისინი ფრონტზე ერთმანეთს ეჯიბრებიან, გმირობაში ერთმანეთს ეცილებიან ყველაზე უფრო სახიფათო დავალებების შესრულებაში.

მებრძოლთა გმირული თავდადების შედეგად ხიდი აღდგენილ იქნა და ეშელონი ეშელონზე მიემართება დასავლეთისაკენ, იქითკენ, სადაც მათ ვერაგ მტერზე სახელოვანი გამარჯვება მოელით.

ერთი შენიშვნა უკანასკნელი სცენის შესახებ. ხიდი აღდგენილია. საცაა მასზე ჯარით დატვირთულმა მატარებელმა უნდა გაიაროს. აღმოჩნდება, რომ მტერს მდინარეში ნაღმები ჩაუწყვია, მოსალოდნელია ნაღმის აფეთქება. საჭიროა ნაღმის გაუვნებლობა. სხვებს ოთარი დაასწრებს და მდინარეში გადავარდება. მოისმის ნაღმის აფეთქება. მოდის ცნობა, რომ ოთარი გმირულად დაიღუპა. დამწუხრებულია მისი ძმა ილო. სწუხან სხვა მებრძოლნიც. მაგრამ უეცრად ირკვევა, რომ ოთარი არ დაღუპულა. იგი ვულშეწუხებული შემოჰყავთ სცენაზე.

როგორ გადარჩა, გაურკვეველია. მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ის არის — რამდენად არის გამართლებული ეს სცენა ფსიქოლოგიურად, მხატვრულად. ვფიქრობ, ეს ამერიკული დაბოლოება არ არის რეალური. ფსიქოლოგიურად ეს სცენა საწინააღმდეგო შედეგს აღწევს—იგი ამშვიდებს, ადუნებს მაყურებელს, აქრობს იმ ცეცხლს, რომელსაც შურისძიების, აქტიური ბრძოლის გრძნობა ეწოდება.

სპექტაკლი დადგმულია სახ. არტისტის აკ. ვასაძის და დ. ალექსიძის მიერ. მათ მხატვრულ ალღოს უნდა მიეწეროს ის, რომ სპექტაკლში ასე ძლიერად იგრძნობა პატრიოტული მაჯისცემა, გმირული სულისკვეთება, სამამულო ომით გამოწვეული მასობრივი თავდადება.

მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ, არსებული ტრადიციის წინააღმდეგ, სპექტაკლი მოკლებულია მუსიკალურ გაფორმებას. მუსიკალური გაფორმება მას მეტ სიცოცხლეს შემატებდა.

სპექტაკლის მთავარი ღირსება კოლექტივის შეწყობილი მუშაობიდან გამომდინარეობს. კოლექტივს სპექტაკლის მთავარი აზრი მშვენივრად მიჰყავს მაყურებლამდე. შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ლ. ყაზაიშვილი, რომელიც ბარუტას მიმზიდველ სახესა ჰქმნის. ბარუტა დახატულია ცხოველი ფერადებით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქცევით. მსახიობის მიერ შექმნილი ტიპი დასამახსოვრებელია. ესევე უნდა ითქვას მ. ჩიხლაძეზე, რომელიც მამის როლს განსაკუთრებული სიძლიერით პირველ მოქმედებაში გვიჩვენებს. შვილებთან გამოთხოვების სცენა ადამიანური გრძნობებით არის გამსჭვალული, ამიტომ იგი რეალური და მართალია. მხატვრული სიმართლე ახასიათებს მ. ჩიხლაძეს ამ როლში. იგი თავის გმირს მოსავს ინდივიდუალური თვისებებით და მაყურებლისათვის მისაბაძ ტიპად ჰქმნის.

კარგი არტისტული უნარი გვიჩვენა თ. თარხნიშვილმა მედეას როლში ხმისა და გრძნობის გულწრფელობის მხრივ, თუმცა მასალის ეპიზოდურობა ამ მონაცემთა გაშლის საშუალებას ართმევს. გრძნობის უშუალობით ასრულებს შმადჩენკოს როლს დ. ხუციშვილი. ხელპირ-დასისხლიანებული, დაგლეჯილი სამოსი, დამსხვრეული სახსრები,—სჩანს ტყვეს ფაშისტური ტანჯვა-წამება გამოუვლია, მაგრამ ამას ვერ უმოქმედნია საბჭოთა მეომრის სულიერ სიმტკიცეზე. მისი სახე გმირობის გამომხატველია. იგი საბჭოთა მაყურებლის მახლობელია, ნაცნობი. მსახიობს ეს როლი დიდ ზნეობრივ სიმტკიცემდე აჰყავს. ასეთსავე თავდადებულ, შეუპოვარ მებრძოლთა სახეებსა ჰქმნიან გ. სალარაძე (ილო) და ვ. დოლიძე (ოთარი). ბ. წულაძე (გერმანელი პოლკოვნიკი), გ. ვასაძე (როიზმანი). სახ. არტისტი დ. მჟავია (გენერალ-ლეიტენანტი); დ. ოქროსცვარიძე (პოლკოვნიკი შეველიოვი) და სხვები სპექტაკლის საერთო ორკესტრში თავიანთი უმნიშვნელო როლებითაც გამოირჩევიან. სპექტაკლის მხატვრული გაფორმების მხრივ დიდი და საპატიო მუშაობა აქვს ჩატარებული ხელოვ. დამს. მოღვაწეს ი. გამრეკელს.

**შ. აფხაიძე**

# ორი ლექსი

### ალიო ადამია

## 1. ტყუპები

ბუნებას უყვარს ერთფერი ზოგჯერ,
როგორც ნაირი და მრავალფეროვც:
ზამთრის ღამეებს ყინვები მოსდევს,
გაზაფხულის მზეს მოსდევს ლანქერი!

თვალუწვდენ მინდორს ერთფერი
ჩირგვი
ჰფარავს და ზოგჯერ ერთფერი
გვიმრაც,—
და ხან კი მცირე ყვავილის კვირტშიც
მრავალი ფერი ჰყვავის და ბრწყინავს...

მე ვიცი ორი ასული ტყუპი
ლამაზები და ორივე ქერა.
ღიმილება, თუ თვალების შუქი
მცირეა იმათ გამოსარჩევად;

თანაბრად უყვარს დედას ორივე
(დე, ნურც დარჩება ერთის ამარად),
და ამჯობინოს რომელს რომელი
არავის ძალუძს დედის მაგვარად!..

ასე თანაბრად გვიყვარს ყოველი
გმირი, სამშობლოს მტრისთვის
ლახვარი!
ყველა დონელი და მოსკოველი,
ბელორუსი და ყველა თათარი...

დედა-სამშობლოს მტრების მგმირავი
ასე თანაბრად გვიყვარს გმირები, —
ყველა ვაჟკაცი შეუშინარი,
უკრაინელნი, თუ ბაშკირები!..

ეს მან აღმართა ასე მრავალი,
ასე ურიცხვი რკინის კედელი...
ხალხს წინ მიუძღვის მთავარსარდალი
შეუმცდარი და შეუდრეკელი! —

ეს-მან აღგვზარდა და ყოველ ჩვენგანს
მან ჩაუნერგა გულში გმირობა:
მტრის ურდოების უშიშრად ლეწვა,
ძმის სიყვარული და ერთპირობა!

ჩვენი გმირების ბრძოლა და შეხლა
აღარ დარჩება ლექსებს უქები;
მტერთან ბრძოლაში ერები ყველა
ერთმანეთს ვგევართ, როგორც
ტყუპები!

## 2. ქართველი ქალების საჩუქარი

დაითოვა საქართველოს ტყე და მთანი
სუფთა თოვლით, როგორც ბავშვის გული წმინდა...
და რამდენიც ნინოა და ქეთევანი,
გამოჰგზავნის ხელთათმანს და იმდენ წინდას!

წინ ილტვოდნენ ვაჟკაცნი და რომ არმია
მტერს ლეწავდეს მოხეთქილი, როგორც ზვავი, —
აქ რამდენიც ვახტანგი და ზურაბია,
იმდენ ლომს და ვეფხვსაც, იმდენს გამოჰგზავნის!

გიტარები, ჩონგური და ტკბილი ნანა
მღერის ლაშქრულს და საგმიროს გატაცებით, —
უსათუოდ გაიმარჯვებს ის ქვეყანა,
თქვენ რომ მრავლად დაუზარდეთ ვაჟკაცები!

ვხედავ ყველა ერთმანეთს რომ ეჯიბრებით
— მტრების ურდო მოისპოს და დაიტანჯოს!
საქართველოს ლამაზნო და ბეჯითებო,
თქვენს სიყვარულს და გმირობას გაუმარჯოს...

## ესტონეთის სსრ სამხატვრო ანსამბლები

სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ესტონეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკიდან ჩვენი ქვეყნის შორეულ რაიონებში ევაკუირებულ იქნა ხელოვნების მუშაკთა დიდი ჯგუფი. ამ ჯგუფში არიან ესტონეთის სსრ დამსახურებული არტისტი, თეატრ „ესტონიას" მსახიობი პაულ პინა და მწერალი ედუარდ პიალი, რომელთა შესახებაც ობერ მატყუარა გებელსის ჯიბგირული დაწესებულების მჯღაბნელებმა გამოაცხადეს, რომ ტალინში ისინი „ბოლშევიკებმა მხეცურად აწამესო". ამავე ჯგუფში არიან დრამატიული თეატრის რეჟისორი და აქტიორი ანტს ლაუტერი, მწერლები სემპერი, იან პიარნერი, თეატრ „ესტონიას" მსახიობები, ტალინის კონსერვატორიის დირექტორი, ვიოლინოზე დამკვრელი ალუმე, მხატვარი ერნიკ ადამსონი, მოქანდაკე სანნამისი და სხვები.

ტალინიდან მთელი შემადგენლობით წამოვიდა ესტონეთის სიმფონიური ორკესტრი, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სასულე და ჯაზ-ორკესტრები.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და ესტონეთის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით, ესტონეთის ხელოვნების მუშაკები გაერთიანებული არიან სახელმწიფო სამხატვრო ანსამბლებში, რომელთა გორნიც არის ოპერის თეატრი, დრამის თეატრი, სიმფონიური და ჯაზ-ორკესტრები და სხვა.

# უნრატის აღზრდილნი

### ჰენრიხ მანის რომანი „მასწავლებელი უნრატი"

### ვანო წულუკიძე

დამთავრდება ეს საშინელი ომი. ჰიტლერიზმი განადგურებული იქნება. მაგრამ კაცობრიობა ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ველურობის, სადისტური ავხორცობის, სისხლისმსმელობის, ვანდალობის, კულტურის ძეგლების განადგურების იმ ჯოჯოხეთურ ფაქტებს, რასაც დაპყრობილ ქვეყნებში, განსაკუთრებით დროებით დაკავებულ საბჭოთა ტერიტორიაზე სჩადიან ჰიტლერელი ავაზაკები და რაც მხოლოდ მცირე რაოდენობით არის მოყვანილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის ცნობილ ნოტაში. ჩვენი მამაცი მებრძოლების მიერ ახალ-ახალი დასახლებული პუნქტების უკან დაბრუნების სიხარულო ამბავს თითქმის ყოველთვის თანახლავს შემაძრწუნებელი ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი საბჭოთა მოქალაქე ჩამოახრჩვეს, რამდენი დედისა და ქალიშვილის ღირსება წაბილწეს, რამდენი ტყვე წითელარმიელი დასწვეს და დაასახიჩრეს, რამდენი სახლი თუ ქოხი მისცეს ცეცხლს, რამდენი სკოლა, საავადმყოფო, მუზეუმი თუ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება გაძარცვეს, დაარბიეს და დაანგრიეს ფაშისტ ჯარისკაცისა და ოფიცრის ფორმაში ჩაცმულმა ავაზაკებმა, მკვლელებმა, მძარცველებმა და მოძალადეებმა. ყველგან, სადაც კი ფეხი შედგეს, მათ დასტოვეს ამაზრზენი კვალი სისხლისმსმელი მტაცებელი ნადირისა, რომელიც კლავს და ასახიჩრებს თავის მსხვერპლს თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ დაიკმაყოფილოს უძლეველი მოთხოვნილება სისხლის სმისა, განიცადოს ავხორცული სიამოვნება ცოცხალი არსებისათვის ტანჯვა-წამების მიყენებით.

მაგრამ დღეს მთელი მსოფლიოსათვის უკვე ცხადი და გარკვეულია, თუ რა მიზანს ესახავს ჰიტლერი თავის ურდოების ამ შემაძრწუნებელ თარეშს. ჰიტლერს ამით სწადიან— ტერორი დასცეს დაპყრობილი ადგილების მცხოვრებთ, მუდმივ შიშსა და ძრწოლაში იყოლიოს მთელი მოსახლეობა, რომ ამით ძირშივე მოსპოს წინააღმდეგობისა და ურჩობის გაწევის ყოველგვარი განზრახვა. „ჩვენი მისიაა —

…ლიოს ახალი კლასი ბატონებისა", — ასე განსაზღვრა თავისი სისხლიანი გეგმა ობერ ჯალათმა ჰიტლერმა, ვიდრე იგი გერმანიას სათავეში მოექცეოდა. მან იცოდა, რომ ამ გიჟური გეგმის პრაქტიკული განხორციელებისათვის დასჭირდებოდა არა ერთი და ორი მილიონი მკვლელი, მძარცველი, მოძალადე და ყაჩაღი. საიდან უნდა მიეღო მას თავზეხელაღებულ ბანდიტთა ესოდენ მრავალრიცხოვანი ურდო? თავის დროზე ამ კითხვასაც თვითონ ობერ-ჯალათმა გასცა პასუხი: „ჩვენ შორის კიდევ არიან ძველი ყაიდის ყოვლად უმაქნისი ადამიანები. ისინი ფეხქვეშ გვებლანდებიან, როგორც ძაღლები ანუ კატები. მაგრამ ეს ჩვენ როდი გვაწუხებს. ჩვენ მათ წავართმევთ ბავშვებს და სათანადოდ აღვზრდით. ჩვენ ნებას არ მივსცემთ მათ, დაადგნენ აზროვნების ძველ გზას".

ბნედიანი ფიურერი ასეც მოიქცა. გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც მშობლებს შვილების აღზრდის უფლება ჩამოერთვათ, და ახალგაზრდობის მთელი თაობა შეყრილ იქნა ფაშიზმისათვის საჭირო ბანდიტების აღმზრდელ სანერგეებში. სკოლებისა და ფაშისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციებს ჰიტლერმა შემდეგი პროგრამა მისცა: „თქვენი მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ ახალგაზრდებს თავი გაუვსოთ რაც შეიძლება მეტი ცოდნით. ყველაზე უკანასკნელად ჩვენ უნდა ვიფიქროთ სასკოლო განათლებაზე". დაახლოვებით იგივე აზრი გაუმეორებია ჰიტლერს რაუშნინგთან საუბარში: „მე არ მინდა ინტელექტუალური აღზრდა. ცოდნით ჩვენ გავაფუჭებთ ახალგაზრდობას". ასეთი იყო ჰიტლერის დირექტივა, რომელიც იმთავითვე სრულდებოდა და სრულდება ჭეშმარიტი გერმანული პედანტურობით. გერმანელ ახალგაზრდაში ჰკლავდნენ და ახშობდნენ ყოველივე ადამიანურს, ნერგავდნენ ზიზღს მეცნიერებასა და კულტურისადმი, ამყნობდნენ სიძულვილს გონებრივი ცხოვრებისა და აზროვნებისადმი. ამასთან ახალგაზრდობის გამოფიტულ და დაცარიელებულ თავს ავსებდ…

როცა ეცნობი იმას, რასაც ფაშიზმის დიდი და პატარა „ფიურერები" ახალგაზრდებს ჩაჩიჩინებენ, როცა აკვირდები თვით ფაშისტ მასწავლებლების გონებრივ და ზნეობრივ ავლადიდებას, მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ის, რაც გერმანიაში ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოხდა, არ ახალია, ძველია. გერმანული ფაშიზმის „იდეოლოგია" და თვით ტიპი ფაშისტი ხელმძღვანელისა, ფაშისტი ფიურერისა ერთბაშად როდი წარმოშობილა. ეხლანდელ ფაშისტ ფიურერებს და მათ ლაშქარს ჰყავთ თავიანთი წინაპრები, თავიანთი წინამორბედები გერმანიის შორეულ და მახლობელ წარსულშიც.

ერთ ჩვენს წერილში უკვე გვქონდა საუბარი ახლანდელი ფაშიზმის „თეორეტიკოსებისა" და პრაქტიკოსების ერთს წინამორბედზე—ჰენრიხ მანის რომანის „ერთგული ქვეშევრდომის" ცენტრალურ უარყოფითს პერსონაჟზე — დიდერიხ ჰესლინგზე. ამ კაპიტალისტ-ექსპლოატატორის სახით ჰენრიხ მანმა გვიჩვენა მომავალი ჰიტლერელი მთელი თავისი ინტელექტუალური და ზნეობრივი უბადრუკობით.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის წინა დღით გამოქვეყნებული ეს ნაწარმოები არის დაუნდობელი რეალისტური კრიტიკა კაიზერული გერმანიისა, რომელიც თავის საშოში ატარებდა იმ უმსგავსოებას, რასაც ფაშიზმი ეწოდება. მაგრამ მანამდე, ვიდრე „ერთგული ქვეშევრდომი" დაიწერებოდა, ჰენრიხ მანმა 1905 წელს გამოაქვეყნა რომანი „მასწავლებელი უნრატი". ეს ნაწარმოები შესანიშნავია იმ მხრითაც, რომ იგი პირველად წარმოგვიდგენს ტიპს ისეთი ადამიანისას, რომელიც აყალიბებს მომავალი ფაშიზმის „იდეოლოგიას" და სულიერად ზრდის ჰიტლერელთა აღმზრდელ კადრებს.

უნრატი გერმანულად ნიშნავს სიბინძურეს, უწმინდურობას. პროვინციელი მასწავლებელი, გარად რაატი, რომელსაც გიმნაზიელებმა ზედმეტ სახელად უნრატი შეარქვეს და რომელიც მას შეჩვია, როგორც ნამდვილ სახელს, ანსახიერებს კაიზერის დროინდელი გერმანიის მთელს უწმინდურობას. ეს რეაქციონერი-პედაგოგი უნრატი ღრმად ტიპიურია. იგი გაბოროტებული კაცის გულმოდგინეობით წრთვნის და ამავე დროს სტანჯავს თავის მოწაფეებს, რომ აქციოს ისინი გონებაჩლუნგ და მორჩილ ავტომატებად. თითქოს უნრატი

უვიცი და სავსებით უკულტურო ადამიანია. მას ისეთი დიდი მწერლის ერთი ნაწარმოებიც კი არ წაუკითხავს, როგორც არის ზოლა. ჰაინეს სახელის ხსენებაზე იგი თრთის და პირიდან დორბლსა ჰყრის. დიდ შილერს იგი იმდენად აფასებს, რამდენადაც შილერის „ორლეანელი ქალწული" საშუალებას აძლევს მას მისცეს მოწაფეებს წერითი სამუშაოებისათვის ძნელად დასაძლევი თემა. უნრატი აიძულებს გიმნაზიელებს, სწერონ ისეთ საგნებსა და მოვლენებზე, რაც ახალგაზრდებს არ იზიდავს და არცა სწამთ. აიძულებს მათ მთელი თაბახები შეავსონ ცარიელი ფრაზებით ისეთ საკითხებზე, როგორიც არის „მოვალეობისადმი ერთგულება", „სკოლის კეთილმყოფელი გავლენა", „სიყვარული სამხედრო სამსახურისადმი" და სხვა. უნრატი ჰკლავს ახალგაზრდაში ინიციატივის ყოველგვარ უნარს, ყოველ კეთილშობილურ მისწრაფებას, მახვილი გონების და მხატვრული გემოვნების ყოველგვარ გამოვლინებას. ყველაფერში იგი ხედავს არსებული წყობილების ძირის გამოთხრას. „ქვეშევრდომის" გმირივით, დიდერიხ ჰესლინგივით უნრატი თვით კაიზერის მინიატურულ ასლს წარმოადგენს: „ყველაფერი, რაც კი სკოლაში ხდებოდა, უნრატისათვის სერიოზული და რეალური იყო, როგორც თავათ ცხოვრება ბავშვის ჩვეულებრივი სიზარმაცე მას მიაჩნდა გაფიცვად, მოწაფის უყურადღებობა და სიცილი—სახელმწიფო ძალაუფლების აბუჩად აგდებად და ურჩობად, მოწაფის უბრალო ცელქობაში — ქაღალდის ტკაცუნში მას მოესმოდა მოწოდება რევოლუციისაკენ. და ყველა ასეთი ბავშვური საქციელისათვის იგი აწამებდა საბრალო მოზარდებს".

უნრატის სახე, რომელიც შეიძლება მკითხველს წინათ გროტესკულ გადაჭარბებად მოსჩვენებოდა, უაღრესად ტიპიურია და შეიცავს იმ სიმახინჯეს, რომელმაც დღევანდელ გერმანიაში საყოველთაო მასობრივი ხასიათი მიიღო. ჰენრიხ მანი განსაკუთრებით გულმოდგინებით უსვამს ხაზს იმას, რომ მხოლოდ მონარქიული რეაქციის პირობებში, სწორედ გერმანული პროვინციის სულისშემხუთველ ატმოსფერაში შეიძლებოდა გაჩენილიყო ეს სულით ავადმყოფი სადისტი, რომელსაც თავის თავზე აუღია საზოგადოებრივი და მორალური საფუძვლების დამცველის როლი. მაშინაც კი, როცა სიბერის წლებში, უნრატი გვარდს უხვევს ამ საფუძვლებს და უბრალო…

…ძობს იმის ჩვენებას, რასაც გიმნაზიაში ჩადიოდა, განაგრძობს თავისი ყოფილი მოწაფეების წამებასა და მორალურ დასახიჩრებას, პროვოკაციულად აქეზებს მათ ათასგვარ დანაშაულზე, რათა დაღუპოს ისინი, სწორედ ისევე, როგორც წინათ გიმნაზიაში პროვოკაციულად ჩაადენიებდა ხოლმე მოწაფეებს რაიმე უხამს საქციელს, რომ შემდეგ სასტიკად დაესაჯა. ბანქოს მოთამაშეთა წრეში იგი ახორციელებს იმავე მუქარას, რომლითაც გულს უწუხებდა გიმნაზიელებს სკოლაში: „მე გაგიფუჭებთ თქვენ კარიერასო". რომანის უკანასკნელ ეპიზოდებში, სადაც მოცემულია გაგიჟებული უნრატის ამხედრება მთელი ქალაქის წინააღმდეგ, რომელიც მას ურჩ მოწაფეთა ხროვად ეჩვენება, მკითხველის წინ დგება განზოგადოებული პორტრეტი გაცოფებული რეაქციონერ-მანიაკისა.

„მასწავლებელ უნრატში" ჰენრიხ მანმა მოურიდებლად ახადა ფარდა ანტი-საზოგადოებრივ ადამიანს, არამზადა ადამიანს, უკიდურეს ინდივიდუალისტს, ჭეშმარიტი საზოგადოებრივი მორალის უარმყოფელს. ჰენრიხ მანმა გვიჩვენა, რომ ამორალიზმი და კაცთმოძულეობა აუცილებლად დამახასიათებელია არა კაპიტალიზმის მტრებისათვის, არამედ მის ერთგულის მსახურთათვის. ამით ჰენრიხ მანმა მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა გერმანიის ყაზარმულ სულს, რომლის სიმყრალეც ასე მოსდებია დღეს მთელ დასავლეთ ევროპას, ყველა ქვეყანას, სადაც უნრატის მიერ აღზრდილი ფაშისტი ოკუპანტები დათარეშობენ.

„მასწავლებელ უნრატში" მკითხველი ვერ ხვდება ვერც ერთ ისეთ ფიგურას, რომელიც ზიზღსა და სიძულვილს არ იწვევდეს. მწერალმა ამ ნაწარმოებში გამოიჩინა დიდი მხატვრული შორსმჭვრეტელობა იმ მხრივაც, რომ მან ნიღაბი ახადა არა მარტო რეაქციულ ფაშისტურ სულისკვეთების მატარებელ ელემენტებს, არამედ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსაც. ლიბერალურად განწყობილი ჭაბუკი ლომანი, რომელიც უნრატის განსაკუთრებულ რისხვას იმსახურებს თავისუფალი აზროვნებით და დიდი ნაკითხობით, ბოლოს აღმოჩნდება ყოვლად უმაქნისი და უმნიშვნელო პროვინციული სნობი, რომელიც ყოველი […]ნელის წინაშე ადვილად იხრის ქედს და […] ხელს უწყობს რეაქციული ძალების გამარჯვებას.

თავისი „უნრატით" ჰენრიხ მანმა პროვინციულ გერმანიას დროზე მისცა სიგნალი მო[…]ლოდნელ საშიშროებაზე. ჰ. მანმა დროზე […]ხრა მას, რომ შეიძლება უნრატებს ჩაუვარდეს ხელში გერმანიის ახალგაზრდა თაობის აღზრდა, რომ ამით შეიძლება კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს გერმანიის მომავალიო. სამწუხაროდ, დიდი მწერლის მოლოდინი გამართლდა. უნრატების მიერ აღზრდილი გერმანელი ახალგაზრდები მიხაკის[…] ჭირად მოსდებიან მთელს ევროპას. გერმანელ ჯარისკაცებს ყველგან მიაქვთ სიკვდილი და განადგურება. გერმანელი ახალგაზრდის დამნაშაულობა, მისი როლი ჯალათისა აუტანელ ტანჯვას ჰგვრის იმ ადამიანებს, რომელნიც გერმანული წარმოშობისა არიან და თავისი ჰუმანიური სულისკვეთებით გიოტესა და შილერის ქვეყანას წარმოადგენენ. დღეს მათ შორის არის ჰენრიხ მანი, რომელიც მედგრად სდგას გონება-ნათელი გერმანიის ღირსების და პატიოსნების სადარაჯოზე და მისი ს[…]ლით მოუწოდებს ჯარისკაცის ფორმაში [...]მულ ახალგაზრდობას:

„გერმანელო ჯარისკაცებო, მოტყუებულნო და მძიმე დანაშაულით დატვირთულნო! თქვენი მარში მიმართულია თქვენი ხალხის ნ[…] ყოფის, გერმანული თავისუფლების, გერმანელი გონიერების, გერმანიის ადამიანური […]ვრების, თქვენი სამშობლოს პატიოსნების […] სინდისის წინააღმდეგ! თქვენი მარში […] უფრო შიშის აღმძვრელია, რაც უფრო მა[…] სწევთ თავს. თქვენ მიდიხართ მეტად ბნელი გზით. საშინელია და საშიში თქვენი მიზ[…] შეჩერდით. სანამ გვიან არ არის, გონს მოდით. სანამ შეგიძლიათ! ძმებს, სამშობლოში დარჩენილ თქვენს ძმებს, სჯერათ, რომ თქვენ შეაბრუნებთ იარაღს. ახლავე, დაუყოვნებლივ! დადგა ჟამი იარაღის შებრუნებისა!"

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 192